



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 28 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №126/20
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

--- 2020 წლის 13 ნოემბრის №--- საჩივრების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁹ მუხლის შესაბამისად №--- დისციპლინური საქმეები მოსამართლე --- მიმართ გაერთიანდა ერთ წარმოებად და დისციპლინურ საქმეს მიენიჭა №126/20.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 17 ნოემბრის №868/126-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრების ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრების ავტორი მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებების კანონიერებას ხდის სადავოდ.

2. საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2020 წლის 1 ოქტომბერს --- დირექტორმა --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს მოპასუხეების ---, ---, ---, ---, ---, ---, ---, ---, --- მიმართ საწარმოს დოკუმენტების მიღების მოთხოვნით.

2020 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით --- უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

2.2. 2020 წლის 2 ოქტომბერს --- დირექტორმა --- განცხადებით მიმართა --- სასამართლოს მოპასუხეების ---, ---, ---, ---, ---, ---, ---, ---, --- მიმართ სარჩელის აღძვრამდე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მოთხოვნით.

2020 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით --- უარი ეთქვა მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე.

2.3. 2020 წლის 7 ოქტომბერს --- დირექტორმა --- განცხადებით მიმართა --- სასამართლოს მოპასუხეების ---, ---, ---, ---, ---, ---, ---, ---, --- მიმართ სარჩელის აღძვრამდე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მოთხოვნით.

2020 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით --- უარი ეთქვა მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე.

2.4. 2020 წლის 7 ოქტომბერს -- -- დირექტორმა - -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების - - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - - მიმართ საწარმოს დოკუმენტების მიღების მოთხოვნით.

2020 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით -- -- სარჩელი მოპასუხეების წინააღმდეგ დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ, დარჩა განუხილველად.

2.5. 2020 წლის 8 ოქტომბერს -- -- დირექტორმა - -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების - - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - - მიმართ სარჩელის აღძვრამდე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მოთხოვნით.

2020 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე.

2.6. 2020 წლის 15 ოქტომბერს -- -- დირექტორმა - -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების - - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - - მიმართ სარჩელის აღძვრამდე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მოთხოვნით.

2020 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე.

2.7. 2020 წლის 16 ოქტომბერს -- -- დირექტორმა - -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების - - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - - მიმართ დირექტორის უფლების, საწარმოს დოკუმენტების მიღების და საწარმოს მართვის მოთხოვნით.

2020 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით -- -- სარჩელი მოპასუხეების წინააღმდეგ დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ, დარჩა განუხილველად.

2.8. 2020 წლის 16 ოქტომბერს -- -- დირექტორმა - -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების - - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - - მიმართ სარჩელის აღძვრამდე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მოთხოვნით.

2020 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე.

2.9. 2020 წლის 20 ოქტომბერს -- -- დირექტორმა - -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების - - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - - მიმართ დირექტორის უფლების, საწარმოს დოკუმენტების მიღების და საწარმოს მართვის მოთხოვნით.

2020 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

2.10. 2020 წლის 26 ოქტომბერს -- -- დირექტორმა - -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების - - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - -, - - - მიმართ დირექტორის უფლების, საწარმოს დოკუმენტების მიღების და საწარმოს მართვის მოთხოვნით.

2020 წლის 2 ნოემბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით გარანტირებულია პირის უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, თუმცა, იგი არ არის აბსოლუტური უფლება და კანონით დადგენილია მისი შეზღუდვის წინაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძველებითა და წესით.

მიუხედავად სამართლიანი სასამართლოს უფლების უდავოდ დიდი მნიშვნელობისა, ის არ არის აბსოლუტური უფლება. „სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ვერ იქნება გაგებული აბსოლუტური სახით, პროცესუალურ-სამართლებრივი წესრიგის გარეშე, რაც უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს“¹.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს,“ თუ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში ჩამოყალიბებული შესაბამისი წინაპირობები.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80).

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ

¹ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 3/1/531

გამოტანილი განჩინებების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინებების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- №-- საჩივარზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი